

შპს “სეგრეჟს ავტო გალერი”

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფული და ფულის ექვივალენტები	11
5. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12

შპს „სეგრეს ავტო გალერი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

შპს „სეგრეს ავტო გალერი“-ს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019 31 დეკემბერი 2018

აქტივები

მიმდინარე აქტივები

ფულადი სახსრები	11,644	60,836
საგადასახადო აქტივი	4097.61	581
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	974,732	16,267
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	46,481	3,927,734
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,036,955	4,005,418

გრძელვადიანი აქტივები

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-
ძირითადი საშუალებები	2,392	13,978
არამატერიალური აქტივები	-	3,975
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,392	17,953
სულ აქტივები	1,039,347	4,023,371

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

მიღებული სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	919,042	3,971,987
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
ანარიცხები	-	-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	-	16,069
სახელმწიფო ვალდებულებები	-	117,298
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	919,042	4,105,354

გრძელვადიანი ვალდებულებები

მიღებული სესხები	-	-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები - გრძელვადიანი ნაწილი	-	-
ფინანსური იჯარი ვალდებულება	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	919,042	4,105,354

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება	120,206	-82,083
სულ კაპიტალი	120,306	-81,983
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,039,347	4,023,371

კობა ბაზაძე
დირექტორი



შპს „სეგრეს ავტო გალერი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	9,158,947	3,115,153
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8,615,773	-2,878,686
საერთო მოგება	543,174	236,467
ადმინისტრაციული ხარჯები	-103,818	-88,449
კომერციული ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯები	-416,812	-120,330
სხვა საოპერაციო შემოსავლები		650
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი	22,545	28,338
ფინანსური შემოსავალი	179693.72	-
ფინანსური ხარჯები	50	-110,421
ზარალი დაბეგვრამდე	202,289	-82,083
მოგების გადასახადის ხარჯი		
წლის მოგება/ზარალი	202,289	-82,083
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:		
კომპანიის მფლობელებს	202,289	-82,083
არამაკონტროლირებელ წილს		
მთლიანი სრული ზარალი	202,289	-82,083
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-
გაცემული დივიდენდები		--
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	202,289	-82,083

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2018
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	100	100
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	120,206	(82,083)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	120,306	(81,983)

კობა ბაზაძე
დირექტორი



შპს „სეგრეეს ავტო გალერი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

შპს „სეგრეეს ავტო გალერი“-ს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	11,644	60,836
საგადასახადო აქტივი	4097.61	581
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	974,732	16,267
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	46,481	3,927,734
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,036,955	4,005,418
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-
ძირითადი საშუალებები	2,392	13,978
არამატერიალური აქტივები		3,975
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,392	17,953
სულ აქტივები	1,039,347	4,023,371
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	919,042	3,971,987
საგადასახადო ვალდებულებები		-
ანარიცხები		-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები		16,069
სახელშეკრულებო ვალდებულებები		117,298
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	919,042	4,105,354
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები		
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები - გრძელვადიანი ნაწილი		
ფინანსური იჯარი ვალდებულება		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	919,042	4,105,354
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება	120,206	-82,083
სულ კაპიტალი	120,306	-81,983
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,039,347	4,023,371

კობა ბაზაძე
დირექტორი

ბაჩუკი ხეცაძე
ბუღალტერი

შპს „სეგრეს ავტო გალერი“ - შპს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	9,158,947	3,115,153
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8,615,773	-2,878,686
საერთო მოგება	543,174	236,467
ადმინისტრაციული ხარჯები	-103,818	-88,449
კომერციული ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯები	-416,812	-120,330
სხვა საოპერაციო შემოსავლები		650
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი	22,545	28,338
ფინანსური შემოსავალი	179693.72	-
ფინანსური ხარჯები	50	-110,421
ზარალი დაბეგვრამდე	202,289	-82,083
მოგების გადასახადის ხარჯი		
წლის მოგება/ზარალი	202,289	-82,083
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:		
კომპანიის მფლობელებს	202,289	-82,083
არამაკონტროლირებელ წილს		
მთლიანი სრული ზარალი	202,289	-82,083
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-
გაცემული დივიდენდები		--
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	202,289	-82,083

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2018
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	100	100
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	120,206	(82,083)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	120,306	(81,983)

კობა ბაზაძე
დირექტორი

ბაჩუკი ხეცაძე
ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სეგრეეს ავტო გალერი”, საიდენტიფიკაციო ნომრით 405270727 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 15.05.2018 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N5

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 405232957, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ავტო გალერი -50 % და 405193838, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სეგრეეს ჯორჯია -50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომელის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები

გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

2.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.4. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადები

ელექტრონული მოწყობილობა	5 წელი
კომპიუტერები	5 წელი
სხვა	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5. არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 4 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც

შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.7. გადასახადები

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

2.8. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების 2.

ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.9. შემოსავალი

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

2.10. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :

- აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).

- საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

2.11. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	11,644	60,836
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	11,644	60,836

5. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	0	11,805
დაკავშირებულ მხარეებთან		

შპს „სეგრეს ავტო გალერი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	120113	0
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2019	2018
სავაჭრო ბრუნვები დაკავშირებულ მხარესთან	850420	27,545